ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების შესახებ (5.09.2013 – 6.09.2013)

2013 წლის 5-6 სექტემბერიდან საქართველოს მასშტაბით ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა 38-მა ტრენერმა (ე.წ. წამყვანი ტრენერები) ტრენინგები ჩაატარა 73 საოლქო საარჩევნო კომისისიაში. ტრენინგი ჩატარდა ერთ ეტაპად კომისიის სრული შემადგენლობისთვის (13 წევრი ყოველ კომისიაში).

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო კურსი მოიცავდა საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვას, საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას, კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაცნობას შემდეგი თემატიკის მიხედვით:

- საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- ამომრჩეველთა სიები;
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია;
- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და დახარისხება;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში;
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:
საერთო რაოდენობა - 949
დამსწრეთა რაოდენობა - 915
დასწრების კოეფიციენტი - 96.5%